დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანმანათებლო პროგრამაზე
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

წევრები:

ბარბარე გონაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ინტერბიზნესის აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2024 წლის 15 იანვრის N27397 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საფინანსო სერვისების" ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტით ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შეფასება 2024 წლის 26 იანვარს, მისამართი: ქ.თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №7.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საფინანსო სერვისები (2018 წლიდან)	30	30	40	6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიას აქვს საუკეთესო თანამშრომლობის გამოცდილება პარტნიორებთან, რომლებიც ამავდროულად არის პრაქტიკის განმახორციელებელი და დამსაქმებელი ორგანიზაციები. ერთ-ერთი ნათელი მაგალითია სს „ლიბერთი ბანკთან“ მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა, რომელიც ორმხრივად დადებით და სასარგებლო შედეგებზეა ორიენტირებული. „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ლიბერთი ბანკის“ მიერ სრული ინვენტარით და დანადგარით აღიჭურვა სალაროს ოთახი და კრედიტ ოფიცრის სივრცე, პროფესიულ სტუდენტებს რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას ბანკში არსებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ატარებენ საინფორმაციო ხასიათის პრეზენტაციებს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, პროფესიული მასწავლებლებისთვის აწყობენ ტრენინგებს სიახლეების გასაცნობად, ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროგრამაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა შესარჩევ პროცესში. ლიბერთი ბანკის პროექტის „პროფესიულ სასწავლებლებთან პარტნიორობა“ შემაჯამებელ შეხვედრაზე ლიბერთი ბანკის მიერ წარმოდგენილი იყო სტატისტიკა პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების დასაქმების რეიტინგული მაჩვენებლებით. დასაქმების საუკეთესო შედეგით პირველ ადგილზე დასახელდა ინტერბიზნესის აკადემია.

2. პროფესიულ სტუდენტთა თეორიული კომპონენტის შეფასებისათის აკადემიას შესყიდული აქვს და იყენებს https://testmoz.com/ ელ.პლატფორმას, რომელიც მოდიფიცირდა და იძლევა სწავლის შედეგის დადასტურების, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი შედეგის კონფიდენციალურობის დაცვით გაცნობის, ასევე გამჭირვალობის და სამართლიანობის დაცვის საშუალებას. პროფესიული სტუდენტის საგამოცდო სივრცეში ავტორიზაციისთვის დაყენებულია მრავალდონიანი დაცვის სიტემა, მომხმარებელს (პროფესიულ სტუდენტს) შეყავს თავისი მონაცემები და სისტემაში შესასვლელი პაროლი ეგზავნებათ პერსონალურ ელ.ფოსტაზე, ასევე მეტი სანდოობისთვის მკაცრად კონტროლდება პროფესიულ სტუდენტთა აიპი მისამართები. შეფასების დაწყების წინ სისტემაში გამოდის შეფასების პროცესის აღწერა, შეფასების სქემა, შეფასების ხანგრძლივობა, განმეორებითი შეფასების და აპელაციის პროცედურები. შეფასების მსვლელობის დროს ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს პროგრამა „შემთხვევითი შერჩევითი პრინციპის“ დაცვით საკითხებს (ყველა პროფესიულ სტუდენტს მისდის განსხვავებული ნუმერაციით შეკითხვა) და დისტრაქტორების თანმიმდევროვბას. პროფესიული სტუდენტი ვერ დაასრულებს გამოცდას თუ რომელიმე კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი, შეუძლია დაუბრუნდეს მას და დაასრულოს ნაშრომი, ასევე მას აქვს საშუალება აკონტროლს საგამოცდო დრო, დასრულების შედგომ მას ეკრანზე გამოსდის შეტყობინება დაადასტურა თუ არა აღნიშნული მოდული/სწავლის შედეგი და რამდენი პროცენტი დაგროვა სწორი პასუხების, ასევე აჩვენებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს თუმცა არ აჩვენებს სწორ პასუხებს. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში ირევა ასევე დისტრაქტორები, შეფასების დასრულების შემდეგ ხდება რეზულტატების ჩამოტვირთვა, სადაც ასახულია თარიღი, შედეგი, დროის ხანგრძლივობა, თითოეული გამოსაცდელისთვის და ასევე დადასტურების პროცენტი, თითოეული პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ელექტრონული სახით ინახება მონაცემთა ბაზაში და მოდულის დასრულების შემდეგ ხდება მისი გადატანა როგორც გარე ვინჩესტერზე, კომპიუტერის მყარ დისკებზე, CD დისკებზე და ინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

II. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გამოვლენილა

III. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გამოვლენილა

IV. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №7
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	60 პროფესიული სტუდენტი კოოპერაციული
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	30 პროფესიული სტუდენტი კოოპერაციული
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	60 პროფესიული სტუდენტი კოოპერაციული
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	*საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	*ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	-	-
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	-	☒ *შეესაბამება* ☐ *მეტწილად შეესაბამება* ☐ *ნაწილობრივ შეესაბამება* ☐ *არ შეესაბამება*

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებამ დაიმატა 2018 წლის 7 დეკემბერს N183 გადაწყვეტილებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 30-ით. კოლეჯი 2018 წლიდან დღემდე წარმატებით ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, მიმდინარე წელს კოლეჯმა გადაწყვიტა 30-ით გაზარდოს პროგრამაზე სტუდენთა რაოდენობა, რაც განპირობებულია კურსდამთავრებულთა მზარდი მაჩვენებლებით, პარტნიორი დაწესებულებების მხრიდან კურსდამთავრებულთა გაზრდილი მოთხოვნით, კერძოდ დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი წერილები:

სს გუდვილი ითხოვს წელიწადში 200-მდე კურსდამთავრებულს, სს ლიბერთი ბანკი ითხოვს წელიწადში 150-მდე კურსდამთავრებულს, პაშა ბანკი ითხოვს წელიწადში 20 დან-100-მდე კურსდამთავრებულს, ასევე ლიდერთკრედიტი და კრისტალი აცხადებენ თანხმობას აკადემიის კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. პროგრამაზე სწავლის მსურველების მოთხოვნა გაიზარდა 2023 წლიდან, ვინაიდან „საფინანსო სერვისები“ შევიდა პრიორიტეტული პროგრამების ჩამონათვალში და ვაუჩერული დაფინანსება გაიცა პროფესიულ სტუდენტებზე, ამ ფაქტიდან გამომდინარე 2023 წლის მიღებაზე აკადემიაში დარეგისტრირდა 160 რეგისტრანტი, საიდანაც შეირჩა 30 პირი.

საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული, კურსდამთავრებული, სტატუსშეჩერებული/შეწყვეტილი, დასაქმებული პირების მონაცემების ანალიზი 2018 წლიდან დღემდე:

N	სასწავლო წელი	რეგისტრანტები	ჩარიცხული	კვალიფიკაცია მინიჭებული	სტატუსშეწყვეტილი /შეჩერებული	კვალიფიკაციით დასაქმებული
1	2018-19	30	30	13	17	11
2	2019-20	30	30	23	7	20
3	2020-21	30	30	18	12	14
4	2021-22	55	26	18	8	14
5	2022-23	51	24	13	9	12
6	2023-24	160	30	-	-	-

დაწესებულების წარმომადგენლებმა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ძირითად მიზეზად დაასახელეს ფინანსური დავალიანება, ასევე პანდემიით გამოწვეული სხვა პრობლემები.

2023 წელს აკადემიის პარტნიორმა სს ლიბერთი ბანკმა აკადემიაში მოაწყო სივრცე - სალაროს ოთახის და საკრედიტო ოფიცერის იმიტირებული სამუშაო გარემო, კოლეჯს საჩუქრად გადასცა ასევე ფულის სათვლელი მანქანა და ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაოდენობის გაზრდის მიზნით დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილ აუდიტორიაში განაახლა ინვენტარი და დამატებით შეიძინა 15 კომპიუტერი.

აკადემიის მიერ საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისავის გამოყოფილია AC გარემო, რომელიც აღჭურვილია 30 პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სამუშაო მაგიდით, სკამით, კომპიუტერით (პროგრამა ალტას დემო ვერსებით, წარმოდგენილი იქნა შპს „ალტა სოფთვეართან“ გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი), ასევე აუდიტორიაში განთავსებულია დემონსტრირების საშუალება - მონიტორი, პრინტერი და პროგრამის სპეციფიკით განსაზღვრული სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, გათვლილია ერთ ცვლაში 30 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო 2 ცვლაში შესაძლებელია 60 პროფესიული სტუდენტის სწავლება. აკადემიას ასევე პროგრამის განხორციელებისათვის დამატებით გამოყოფილი აქვს მეორე აუდიტორია Aგარემო , რომელიც 30 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით არის აღჭურვილი.

რაც შეეხება პროგრამის პრაქტიკით უზრუნველყოფის საკითხებს, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან, რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (ხელშეკრულებების შესაბამისად ერთდროულად 100-ზე მეტი პროფესიული სტუდენტის პრაქტიკაა შესაძლებელი, რაც აღემატება მოთხოვნილ რაოდენობას) გათვალისწინებით, კერძოდ : მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა საფინანსო სერვისები“ და „საწარმოო პრაქტიკა ფინანსური სერვისები“ პრაქტიკული კომპონენტის გავლის მიზნით დაწესებულას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სს „ლიბერთი ბანკთან“(ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა), სს „კრედო ბანკთან“(ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა),, სს „პაშა ბანკი საქართველოსთან“, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლიდერ კრედიტთან“(ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა),, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალთან“(ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა) და შპს „გუდვილთან“(ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა),. შპს „გუდვილთან“ ასევე, დაგეგმილია მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება.
პრაქტიკის ხელშეკრულებებით პარტნიორები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ბანკის საკუთრებაში არსებული შესაბამისი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით, ასევე, ხელშეკრულების საგანია მოთხოვნების/კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში არსებულ ვაკანსიებზე აკადემიის კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა;

ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც ერთხმად გამოთქვეს კმაყოფილება და მადლიერება იმ შესაძლებლობებისათვის, რასაც კოლეჯი მათ სთავაზობს, სახელმწიფოს სრული დაფინანსებით სწავლება და კოლეჯის ხელშეწყობით დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა დასაქმების პერსპექტივით მათთვის ძლიერი მოტივატორია.

ექსპერტები ვიზიტით იმყოფებოდნენ პრაქტიკის ერთ-ერთი ობიექტზე სს „ლიბერთი ბანკი“. ბანკში ვიზიტით და წარმომადგენელთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტი არის გამტარუნარიანი მიიღოს სტუდენტთა ზღვრული ოდენობა ფილიალების ოდენობიდან გამოდმინარე (60 პროფესიული სტუდენტი) და უზრუნველყოფილი იქნას მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის -60 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

საგანმანათლებლო პროგრამით „საფინანსო სერვისები“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 13 (ცამეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 11 (თერთმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. ვიზიტის ფარგლებში გავეცანით პერსონალის პირად საქმეებს. სრულად შემოწმდა განმახორციელებელთა პირადი საქმეები. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მათგანის ხელშეკრულებაში სრულად არ იყო მითითებული იმ მოდულების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული იყო პროგრამის N3 დანართით (განმახორცელებელი პერსონალი). ამასთან დაკავშირებით მიეცათ რეკომენდაცია და ადგილზე განხორციელდა ტექნიკური ცვლილებები(დირექტორის 2024 წლის 26 იანვრის ბრძანება N01-02) დანართი N3-ის აღწერილობაში . ექსპერტთა მოსაზრებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების დარგობრივი კომპეტენცია, აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება და შესაბამისი კვალიფიკაცია, შერჩეულები არიან დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაცვით(შესაბამისი განათლება ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება), მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალს გავლილი აქვთ როგორც შიდა რესურსებით ჩატარებული ასევე, გარე უწყებების მიერ ჩატარებული ტრენინგები, სერთიფიკატები და დაწესებულების რეგულაციით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები განთავსებულია მათ პირად საქმეებში. შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პირად საქმეში განთავსებულია კვალიუფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე საბანკო სფეროში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი ძალიან კარგად იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და სრულად არის ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია სრულად ელექტრონული სახით. პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და ბიბლიოთეკართან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოდულებში მითითებული ელექტრონული სასწავლო რესურსის სწავლების პროცესში გამოყენება ხორციელდება აქტიურად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა ამ პროგრამის ფარგლებში, ხოლო რეგულაციის გადამოწმებით ჩანს, რომ საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი(15 სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისები ფინანსურად მდგრადია, დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“;*
- *პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;*
- *პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;*
- *მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *პრაქტიკის ხელშეკრულებები;თ*
- *პარტნიორების წერილებით კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ;*
- *დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგებით;*
- *პერსონალის პირადი საქმეებით და შრომითი ხელშეკრულებებით;*
- *ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით*
- *პროგრამის ბიუჯეტით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ინტერვიუირების შედეგებით.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

16.02.2024წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: